



8284-15-3-2-202008201240



N 15-3/8284

20/08/2020

საქართველოს გენერალურ პროკურორს
ბატონ ირაკლი შოთაძეს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

ბრალდებულ [REDACTED] მიმართ განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიების დაგვიანებით დაწყებაზე პასუხისმგებელი პირების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგმავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ირაკლი,

2019 წლის 18 ივლისის განცხადებით მომმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის N8 დაწესებულებაში განთავსებულმა ბრალდებულმა [REDACTED] რომელიც მიუთითებდა პოლიციის თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტზე. მოცემული საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ხსენებულ ფაქტზე გამოძიება დაიწყო მნიშვნელოვანი დაგვიანებით, რითიც სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების წარმოება შეუძლებელი გახდა.

ფაქტობრივი გარემოებები

ბრალდებულ [REDACTED] განმარტებით, იგი დააკავეს 2019 წლის 9 ივლისს, ქ. გორის მიმდებარე ტერიტორიაზე, რა დროსაც პოლიციის რამდენიმე თანამშრომელმა მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. ამასთან, ბრალდებულის მტკიცებით, პოლიციის თანამშრომლებმა სცადეს მისი გაუპატიურება.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული რეაგირების შედეგად საქმეზე შეკრებილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2019 წლის 09 ივლისის წერილით, ქ. თბილისის პროკურატურის შსს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების უფროსს, [REDACTED] ეცნობა, რომ [REDACTED] იზოლატორში

მოთავსების პროცედურების გავლის დროს განაცხადა პოლიციის თანამშრომლების მიერ განხორციელებულ ფიზიკურ შეურაცხყოფაზე. მისი გადმოცემით, დაკავებისას და დაკავების შემდეგ, პოლიციის თანამშრომლები ურტყამდნენ ხელს სხეულის სხვადასხვა ადგილებში და მუხლი ჩაარტყეს სასქესო ორგანოში, სადაც აღენიშნება ტკივილი.¹

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ 2019 წლის 1 აგვისტოს თბილისის პროკურატურის საგამომიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის [REDACTED] საქმეზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ [REDACTED] მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის “ბ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.²

საბოლოო ჯამში, [REDACTED] სავარაუდო არასათანადო მოპყრობას 2019 წლის 09 ივლისს დაექვემდებარა. საგამომიებო ორგანოს მიერ ფაქტზე გამოძიება დაიწყო 2019 წლის 01 აგვისტოს, რა დროსაც იგი ჯერ კიდევ არ იყო გამოკითხული გამომძიებლის მიერ, ხოლო საქმეზე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა დაინიშნა 2020 წლის 28 თებერვალს.³

დამატებით, სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ პირველად როდის შეხვდა [REDACTED] საქართველოს პროკურატურის გამომძიებელი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ე. თბილისის №1 დროებითი მოთავსების იზოლატორში [REDACTED] საქართველოს პროკურატურის გამომძიებელი არ შეხვედრია,⁴ ხოლო სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა ინფორმაციის მოწოდებაზე უარი განაცხადა იმის გამო, რომ იგი განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემს წარმოადგენდა.⁵ ბრალდებულთან შეხვედრისას, 2019 წლის 1 აგვისტოს სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ შედგენილი ოქმის თანახმად, იგი ამ დროისთვის გამოკითხული ჯერ კიდევ არ იყო.

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობა სახელმწიფოს სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე ეფექტიანი გამომძიების პოზიტიურ ვალდებულებას აკისრებს.

ევროპის საბჭოს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად, არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. ამასთან, კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს

¹ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2019 წლის 09 ივლისის MIA 7 19 01785696 წერილი.

² საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის 7 ივლისის №13/57426 წერილი.

³ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 10 აპრილის N5002085520 წერილი.

⁴ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის 2020 წლის 03 ივლისის MIA 8 20 01501086 წერილი.

⁵ სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის 2020 წლის 03 ივლისის №159936/01 წერილი.

ვალდებულებას, პირის წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის ჩადენის შემთხვევაში ჩაატაროს ეფექტიანი გამოძიება.⁶

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეში მიუთითა ეფექტიანი გამოძიების ჩატარების სტანდარტებზე, მათ შორის - დროულობისა და გულმოდგინების ელემენტებზე. კერძოდ, „სახელმწიფო ორგანოებს მართებთ, მიიღონ მათთვის შესაძლებელი გონივრული ზომები, რათა უზრუნველყონ შემთხვევასთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულების დაცვა. გამოძიების დასკვნები უნდა ეფუძნებოდეს ყველა შესახები ელემენტის გულმოდგინე, ობიექტურ და მიუკერძოებელ ანალიზს. ... ნებისმიერი ხარვეზი გამოძიებაში, რომელიც ძირს უთხრის მის უნარს, დაადგინოს საქმის გარემოებები ან დანაშაულის ჩამდენი პირი, იმის მანიშნებელია, რომ არ იქნა უზრუნველყოფილი ეფექტიანობის სათანადო ხარისხი“.⁷

ამასთან, „გარდა იმისა, რომ ჩატარებული გამოძიება უნდა იყოს დამოუკიდებელი და მსხვერპლის ოჯახისთვის ხელმისაწვდომი, ის ასევე უნდა იყოს ეფექტიანი იმ თვალსაზრისით, რომ უნდა ჩატარდეს გონივრული ტემპითა და გულმოდგინებით, რომ მან საზოგადოებას უნდა მისცეს მასზე თვალყურის დევნების საკმარისი უფლება“.⁸

ა) გამოძიების დავიანებით დაწყება

სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების ჩატარების ვალდებულება გულისხმობს დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე გამოძიების გაჭიანურების გარეშე დაწყებას.⁹ აღნიშნული ვალდებულება განმტკიცებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, რომლის თანახმად, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან დაიწყონ გამოძიება.¹⁰ ეს მოთხოვნა იმპერატიულ ხასიათს ატარებს და შესაბამისად, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ გამოძიების მწარმოებელი პირის/ორგანოსთვის ალტერნატივა არ არსებობს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ 2019 წლის 9 ივლისს ქ. თბილისის პროკურატურის შსს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების უფროსს ეცნობა [REDACTED] პრეტენზიის შესახებ, რომელიც შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს.

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განცხადება და საჩივარი დანაშაულის შესახებ დაუყოვნებლივ განიხილება. კანონმდებლობის იმპერატიული მოთხოვნის მიუხედავად, ბრალდებულ [REDACTED] განცხადებაზე, სადაც იგი დანაშაულის აშკარა ნიშნებზე მიუთითებდა, გამოძიება 2019 წლის 1 აგვისტომდე არ დაიწყო.

⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ბუიდი (Bouyid) ბელგიის წინააღმდეგ (დიდი პალატა), 2015, პარა. 115-116; ოსტროვენეცი (Ostrovenecs) ლატვიის წინააღმდეგ, 2017, პარა. 71.

⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ, 2011, პარა. 242.

⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ხაინდრავა და მამაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, 2010, პარა. 60.

⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე აკდოდუ (akdogdu) თურქეთის წინააღმდეგ, 2005.

¹⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლი.

ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, როდესაც სავარაუდო დაზარალებულს თავისუფლება აქვს აღკვეთილი, იმყოფება სახელმწიფოს ეფექტიანი კონტროლის ქვეშ და შესაძლოა აღმოჩნდეს ზეწოლის, მუქარის ან სხვა განმეორებითი მიმღე დანაშაულის მსხვერპლი. 2019 წლის 1 აგვისტოსთვის, [REDACTED] მიმართ სავარაუდოდ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტზე, ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული გამოძიება და იგი არ იყო გამოკითხული გამომძიებლის მიერ.¹¹

შესაბამისად, გამოძიების გაუმართლებელი დაგვიანებით დაწყება და სავარაუდო მსხვერპლის არგამოკითხვა მიუთითებს ეფექტიანი გამოძიების დროულობის სტანდარტის დარღვევაზე.

ბ) ექსპერტიზის დაგვიანებით დანიშვნა

გამოძიების გულმოდგინებისა და მტკიცებულებათა დროულად მოპოვების კუთხით, საყურადღებოა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის საკითხიც.

[REDACTED] სავარაუდო არასათანადო მოპყრობას 2019 წლის 09 ივლისს დაექვემდებარა. საგამოძიებო ორგანოს მიერ ფაქტზე გამოძიება დაიწყო 2019 წლის 01 აგვისტოს, ხოლო, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა დანიშნა გამოძიების დაწყებიდან **7 თვის შემდეგ - 2020 წლის 28 თებერვალს.**¹²

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების მიზანი სავარაუდო დაზარალებულის სხეულზე არსებული შესაძლო დაზიანებების წარმოშობის ხანდაზმულობისა და განვითარების მექანიზმის დადგენაა. პრაქტიკის თანახმად, მიზანშეწონილია აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების დაუყოვნებლივ ჩატარება იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ სხეულზე არსებული დაზიანებები სწრაფად იწყებს გაქრობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ბუნდოვანია, თუ რა მიზანს ემსახურებოდა მოცემულ საქმეში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის რამდენიმე თვის დაგვიანებით დანიშვნა და რამდენად ინფორმაციული და გამოსადეგი უნდა ყოფილიყო მიღებული ექსპერტის დასკვნა.

თავისთავად გამოძიების მიმდინარეობის ხანგრძლივი ვადა არ წარმოადგენს აღნიშნული კრიტერიუმის დარღვევის უპირობო საფუძველს, საქმის სირთულისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით. ამ მხრივ გადაწყვეტი ფაქტორია ის, რომ გამოძიებამ არ დააყოვნოს მტკიცებულებათა და ჩვენებათა მოპოვება, ასევე სწრაფი რეაგირება მოხდეს არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრების არსებობისას.¹³

თუმცა თვალსაჩინოა, რომ მოცემულ საქმეზე სავარაუდო ძალადობის ფაქტის ჩადენიდან რამდენიმე საათში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება გაცილებით უფრო შედეგიანი იქნებოდა გამოძიებისთვის, თუმცა გამოძიების 20 დღის დაგვიანებით დაწყებისა და

¹¹ 2019 წლის 1 აგვისტოს [REDACTED] გასაუბრებისას საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ შედგენილი ოქმი.

¹² სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 10 აპრილის N5002085520 წერილი.

¹³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე აკსოი თურქეთის წინააღმდეგ, 1996, პარა. 189; ჩაკიჩი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ, 1999, პარა. 284.

ექსპერტიზის 7 თვის დაგვიანებით დანიშვნის გამო, აღნიშნული შესაძლებლობა ხელიდან იქნა გაშვებული, რამაც დააზიანა საქმეზე ეფექტიანი გამოძიების ჩატარების ინტერესი.

ამდენად, პროკურატურისთვის 2019 წლის 09 ივლისს უკვე ცნობილი იყო [REDACTED] მიმართ ჩადენილი შესაძლო დანაშაულის შესახებ. კანონმდებლობა პროკურატურას ცალსახად ავალდებულებდა შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიების გაჭიანურების გარეშე დაწყებას, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, იმ პირობებში, როდესაც პირი სახელმწიფოს ეფექტიანი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა, გამოძიება არ დაიწყო და მსხვერპლი არ გამოიკითხა 22 დღის განმავლობაში, ხოლო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა დაინიშნა 7 თვის შემდეგ, რამაც შესაძლო არასათანადო მოპყრობის გამოძიება შეუძლებელი გახადა.

დასკვნა

ფაქტობრივი გარემოებებისა და კანონმდებლობის ანალიზის შედეგად მიგვაჩნია, რომ მოცემულ საქმეში დაირღვა არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე ეფექტიანი გამოძიების პოზიტიური ვალდებულებისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმპერატიული მოთხოვნები. ბრალდებულ [REDACTED] მიმართ ჩადენილ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიება გაუმართლებელი დაგვიანებით დაიწყო, ხოლო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა 7 თვის დაგვიანებით ჩაინიშნა, რამაც გამოძიება არსებითად დააზიანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, დაიწყოთ დისციპლინური საქმისწარმოება ბრალდებულ [REDACTED] მიმართ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ჩადენის ფაქტზე გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიმართ.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

დანართი: 8 (რვა) ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

5- 

სახალხო დამცველი

